ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

10 თებერვალი 2025

N148914

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ელ ჯორჯია“-ს მიერ წარდგენილ ანგარიშგებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ

შპს „ელ ჯორჯია“-ს მიერ (ს/ნ - 406042036, მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქიზიყის ქ., №13) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2025 წლის 4 თებერვალს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს II კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სუბიექტი ვალდებულია ელექტრონულად სრულად შეავსოს ამ წესის მე-13 მუხლის შესაბამისად, მის მიერ არჩეული ციფრული ფორმების შესაბამისი კომპონენტების, ასევე, სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების ანგარიშგების ფორმის, ყველა არანულოვანი მუხლი, ხოლო თუ სუბიექტი წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს, იგი ვალდებულია ასევე სრულად შეავსოს მის მიერ არჩეული კონსოლიდირებული ციფრული ფორმების შესაბამისი კომპონენტების ყველა არანულოვანი მუხლი კანონის მე-3 მუხლის მე-8-მე-10 პუნქტებით სუბიექტისთვის დადგენილი/არჩეული სტანდარტისა და ამ წესის მე-15 მუხლის შესაბამისად ატვირთული ფინანსური/კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ანგარიშგების სამუშაო დოკუმენტაციის თანახმად“, სუბიექტის მიერ ციფრული ფორმების ჩანართში შევსებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება არ არის ატვირთული დოკუმენტის შესაბამისი.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223

ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და წესის მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს დაუდგინდეს ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვროს 10 სამუშაო დღე;
2. სუბიექტის მიერ, ამ ბრძანებაში მითითებული ხარვეზის აღმოუფხვრელობა გამოიწვევს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას;
3. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური